<p>პროგრამის აღწერა</p>	<p>დმანისის მუნიციპალიტეტში დასუფთავების ღონისძიებების განხორციელება ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს. ამ მიზნით მუნიციპალიტეტი ნაყოფიერად თანამშრომლობს მუნიციპალური განვითარების ფონდთან, რომლის ფარგლებშიც მუნიციპალური განვითარების ფონდის სესხით განხორციელდა ნაგვის ურნების შექმნა. ასევე, მუნიციპალიტეტს გადმოეცა ნაგავშიდი მანქანები. დასუფთავების ღონისძიებებთან დაკავშირებული კაპიტალური ხარჯები ძირითადად გაიწევა მუნიციპალური ბიუჯეტის არასაკუთარი შემოსავლებიდან (სესხი, სახელმწიფო ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერი), ხოლო მიმდინარე ხარჯები, ისეთი როგორცაა ყოველდღიურად ნარჩენების მოგროვება და გატანა ნაგავსაყრელ პოლიგონზე ფინანსდება მუნიციპალური ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლებიდან, კერძოდ დასუფთავება და ნარჩენების გატანის პროგრამიდან.</p> <p>პროგრამის ფარგლებში ა(ა)იპ -დმანისის სერვის ჯგუფი ახორციელებს ქალაქისა და მუნიციპალიტეტში შემავალ ადმინისტრაციული ერთეულებიდან ნაგვის ნარჩენების მოგროვებას და გატანას, რომელსაც ემსახურება 3 ერთეული ნაგვის გამტანი ავტომობილი. სამუშაოები ხორციელდება მუნიციპალიტეტის ქალაქში და სოფლებში.რომლის გატანაც ხდება ქალაქ ბოლნისში არსებულ სპეციალურ ნაგავსაყრელზე.</p> <p>მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული კონტეინერების რაოდენობა შეადგენს 650 ერთეულს,მათ შორის 172 განთავსებულია ქალაქში,ხოლო დანარჩენი სოფლებში-478. პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან ყოველდღიურად გადის დაახლოებით 34 მ/კუბ ნარჩენი,ზაფხულის სეზონზე საგრძნობლად იზრდება გატანილი ნარჩენების მოცულობა. პროგრამის ფარგლებში ხორციელდება 78000 მ2 ქუჩებისა და 24180 მ2 სკვერების დასუფთავება.</p> <p>პროგრამის ფარგლებში ხორციელდება არსებული პარკების და სკვერების მოვლა - პატრონობა,კერძოდარსებული მწვანე ნარგავების მოვლის და აღდგენის ღონისძიებები ,ნიადაგის მომზადება,ერთწლიანი და მრავალწლიანი ნარგავების დარგვა,მორწყვა,შენამვლა აღნიშნულ ღონისძიებებს ემსახურება 3 თანამშრომელი.</p> <p>კომუნალური სამსახური მომსახურებას უწევს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ გარე განათების ქსელის მოვლა-პატრონობას 3441 სანათი წერტილის დაზიანების შემთხვევაში გამოცვლას,ამორტიზებული ბომების შეკეთებას ახლით ჩანაცვლებას,აღნიშნულ ღონისძიებას ემსახურება 3 თანამშრომელი.</p> <p>ქვეპროგრამის ფარგლებში დმანისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი ოჯახების სარგებლობაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების უფასო მოხვნა ერთ ჰექტრამდე იმ ოჯახებისათვის,რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 100000 -ს. ასევე მომსახურებას გაუწევს სასმელი წყლის სისტემების მოვლა-შენახვას-დაზიანებული ხაზების დროულ აღდგენას და ხარისხიანი წყლის მიწოდება მოსახლეობისათვის.</p> <p>პროგრამისთვის გამოყოფილ ასიგნებები ასევე მოიცავს ა(ა)იპ - დმანისის მუნიციპალიტეტის კომუნალური სამსახურის ადმინისტრაციულ ხარჯებს, მათ შორის, ხელშეკრულებით აყვანილ პერსონალის ხელფასებს.სულ სამსახურში დასაქმებულია 75 თანამშრომელი</p>
<p>პროგრამის მიზანი და მსალოდნელი შედეგი</p>	<p>მუნიციპალიტეტში სუფთა და ჯანსაღი გარემოს პირობების არსებობა</p>

ა.ა) დასუფთავება და ნარჩენების გატანა

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	2024 წლის დაფინანსება (ათას ლარში)
03 01 01			2 161,0

<p>ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური</p>	<p>ა(ა)იპ დმანისის სერვის ჯგუფი</p>
	<p>პროგრამის ფარგლებში ააიპ „დმანისის მუნიციპალიტეტის კომუნალური სამსახური“ ახორციელებს ქალაქსა და მუნიციპალიტეტში შემავალ ადმინისტრაციული ერთეულებიდან ნარჩენების მოგროვებას და გატანას, რომელსაც ემსახურება 3 ერთეული ნაგვის გამტანი ავტომანქანა და ნარჩენების გატანა (კონტეინერების დაცლა)</p>



ქვეპროგრამის აღწერა	<p>ხორციელდება ქალაქ დმანისიდან და მუნიციპალიტეტის 43 სოფლიდან. შეგროვებული ნარჩენები გადის ქალაქ ბოლნისის ნაგავსაყრელზე. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ჯამში განთავსებული კონტეინერების რაოდენობა შეადგენს 650 ერთეულს, მათ შორის 172 განთავსებულია ქალაქში და 478 მუნიციპალიტეტის სოფლებში. პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან ყოველდღიურად გადის დაახლოებით 34 მ/კუბ ნარჩენი, ზაფხულის სეზონზე საგრძნობლად იზრდება გატანილი ნარჩენის მოცულობა. პროგრამის ფარგლებში ხორციელდება 78 000 მ² ქუჩებისა და 24 180მ² სკვერების დასუფთავება. პროგრამიდან ფინანსდება მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ადმინისტრაციული შენობისათვის შესაბამისი მომსახურების გაწევა და სხვა სამუშაოების შესრულება. პროგრამის ფარგლებში ქ.დმანისში, მიმდებარე სოფლებში ხორციელდება ქუჩებისა და ტროტუარების დასუფთავება, მერიის საკუთრებაში ადმინისტრაციული შენობების დასუფთავება.სადაც დასაქმებულია 75 თანამშრომელი</p>
ქვეპროგრამის მიზანი	<p>პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტში ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება და შენარჩუნება და დასუფთავების მუნიციპალიტეტის სერვისის გამართული ფუნქციონირება რის შედეგად მიიღწევა ეკოლოგიურად ჯანსაღი გარემო და დასუფთავების მუნიციპალური სერვისის ხარისხიანი ფუნქციონირება.</p>

ბ) მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა

კოდი	პროგრამის დასახელება	მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
03 02			0

პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ დმანისის კომუნალური სამსახური
პროგრამის აღწერა	<p>პროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული პარკებისა (რაოდენობა) და სკვერების (რაოდენობა) მოვლა-პატრონობა. კერძოდ, სკვერებსა და გამწვანებულ ტერიტორიებზე ტარდება მწვანე ნარგავების მოვლისა და აღდგენის ღონისძიებები, ნიადაგის მომზადება, დასუფთავება, ერთწლიანი და მრავალწლიანი ნარგავების დარგვა, მორწყვა, შეწამვლა და საჭიროების შემთხვევაში შხამქიმიკატების შეტანა. პროგრამის ფარგლებში ასევე ფინანსდება ქალაქ დმანისის ტერიტორიის კეთილმოწყობითი და გამწვანებითი ღონისძიებები. პროგრამის ფარგლებში ხორციელდება 2 სამტატო ერთეულის ხელფასის დაფინანსება.</p>
პროგრამის მიზანი	<p>მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ სკვერებში და პარკებში მოსახლეობისთვის სასიამოვნო, ჯანსაღი გარემოს შექმნა.</p>

გ) კაპ. დაბანდებები დასუფთავების სფეროში

კოდი	პროგრამის დასახელება	კაპიტალური დაბანდებები დასუფთავების სფეროში	2024 წლის დაფინანსება (ათას ლარში)
03 03			855,2

პროგრამის განმახორციელებელი	დმანისის მუნიციპალიტეტის მერია
-----------------------------	--------------------------------



სამსახური	
პროგრამის აღწერა	დასუფთავება ერთ-ერთ მნიშვნელოვანი პრიორიტეტია. შექმნილი ნაგავმზიდი მანქანები და ნაგვის ურნები ვერ აკმაყოფილებს სრულად იმ მოთხოვნებს რაც მუნიციპალიტეტს გააჩნია. აქედან გამომდინარე, პროგრამის ფარგლებში ხორციელდება მყარი ნარჩენების გატანისათვის საჭირო ინვენტარის, ნაგავმზიდი მანქანების და ნაგვის კონტეინერების შექმნა, რათა წელნელა სრულად მოხდეს მუნიციპალიტეტის ტერიტორიის ათვისება. კერძოდ 2024 წელს გათვალისწინებულია ერთი ცალი ამავე კალათის და სატვირთო ავტომანქანის დარჩენილი თანხების განადგება-107470 ლარის ოდენობით, ასევე დასაფინანსებელია ორი ერთეული ნაგვის მანქანების დარჩენილი თანხა 378590 ლარის ოდენობით დაერთი ცალი ავტობუსის თანხა 103050 ლარი.
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	დმანისის მუნიციპალიტეტში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის ხელშეწყობა

დ) უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებები

კოდი	პროგრამის დასახელება	უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებები	2024 წლის დაფინანსება (ათას ლარში)
03 04			30,0

პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)ივ დმანისის კომუნალური სამსახური
პროგრამის აღწერა	<p>პროგრამის ფარგლებში, მოსახლეობის უსაფრთხოების დაცვის მიზნით, ხორციელდება დმანისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულებში არსებული მაწანწალა ძაღლების თავშესაფარში გადაყვანა, რომელსაც უზრუნველყოფს ტენდერში გამარჯვებული კომპანია. მიუსაფარი შინაური ცხოველის დაჭერა, დროებით თავშესაფარში განთავსება შემდგომი პროცედურების განხორციელების მიზნით; მიუსაფარ შინაურ ცხოველზე საიდენტიფიკაციო საშუალების განთავსება მიკროჩიპირებით, ან ტატუირებით, ან საჭდით („ბირკით“); საჭიროების შემთხვევაში, სათანადო ვეტერინარული ღონისძიებების განხორციელება: ექიმ-ვეტერინარის ან/და ინოლოგის/ფელინოლოგის მიერ ცხოველის ვიზუალური დათვალიერება-დაკვირვება, ცხოველის ბიომასალის (სისხლის, შარდის, ბეწვის და სხვა) ლაბორატორიული კვლევა, მკურნალობა (დეჰლმინტიზაცია, ვაქცინაცია (მათ შორის „კომპლექსური“, „ანტირაბიული“) და სხვა), ოპერაციების (სტერილიზაცია, კასტრაცია, ყურის კუპირება და სხვა) ჩატარება, ცხოველის ევთანაზია; საჭიროების შემთხვევაში, დეზინფექციის, დეზინსექციის, დეზაკარიზაციის და დერატიზაციის ღონისძიებათა განხორციელება; ევთანაზირებული ან დაცემული ცხოველის ლემის გადატანა შესაბამის ბიოთერმულ ცხოველთა სამარხში (ბეკარის ორმოში), ცხოველის ლემის დამარხვისთვის გამოყოფილ სპეციალურ ტერიტორიაზე ან კრემატორიუმში; მიუსაფარი შინაური ცხოველის გაჩუქება, მიკედლება, დაინტერესებული პირისთვის დაბრუნება, საჭიროების შემთხვევაში, შემდგომი მოვლა-პატრონობის პირობების კონტროლი;</p> <p>ზემოთ ჩამოთვლილი ვეტერინარული და სხვა ღონისძიებების გატარების შემდგომ, მიზანშეწონილობის შემთხვევაში, ცხოველის (რომელიც არ წარმოადგენს საფრთხეს) ბუნებრივ არეალში ან პირვანდელ საცხოვრებელ ტერიტორიაზე დაბრუნება; საჭიროების შემთხვევაში, სურსათის ეროვნულ სააგენტოს შესაბამისი ტერიტორიულ ორგანოსთვის მიმართავა მიუსაფარი შინაური ცხოველების ვაქცინაციის ჩატარების უზრუნველსაყოფად;</p>
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	დმანისის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის უსაფრთხოების დაცვა, მიუსაფარი შინაური ცხოველების მოვლა-პატრონობა ვეტერინარულ ღონისძიებების გატარების გზით

3. განათლება (04 00)

მომავალი თაობის აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს რომლის ფარგლებშიც ყოველ წლებში ხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება. ასევე დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში ხორციელდება საჯარო სკოლის მოსწავლეთა ტრანსპორტირება და სკოლების მცირე



სარეაბილიტაციო სამუშაოები.

დასახელება		2024 წელი	2025 წელი	2026 წელი	2027 წელი
04 00	განათლება	2 758,4	1822,6	1822,6	1822,6
04 01	სკოლამდელი აღზრდა	1 631,6	1631,6	1631,6	1631,6
04 01 01	სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების ფუნქციონირება	1 631,6	1631,6	1631,6	1631,6
04 01 02	სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების რეაბილიტაცია	0,0			
04 02	პროფესიული განათლების ხელშეწყობა	191,0	191,0	191,0	191,0
04 02 01	საგანმანათლებლო ცენტრის ხელშეწყობა	181,0	181,0	181,0	181,0
04 02 02	პროფესიული სტუდენტთა ხელშეწყობა	10,0	10,0	10,0	10,0
04 03	საჯარო სკოლების დაფინანსება	935,8	0,0	0,0	0,0
04 03 01	სკოლის მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფა	0,0	0,0	0,0	0,0
04 03 02	ზოგადსაგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის მშენებლობა/რეაბილიტაცია	0,0	0,0	0,0	0,0

3. განათლება 04 00

ა) სკოლამდელი განათლება

დანართი 3

პროგრამის განაცხადის ფორმა N1	
პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:	განათლება
პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	0401
პროგრამის დასახელება:	სკოლამდელი აღზრდა
გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მიზანი 4 მიზანი 1
პროგრამის განმახორციელებელი:	დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური ააიპ დმანისის სკოლამდელი აღზრდის სამსახური
პროგრამის განხორციელების პერიოდი:	მუდმივი



პროგრამის მიზანი - დმანისის მუნიციპალიტეტის 2-დან 6-წლამდე ასაკის ბავშვებისათვის სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მიხედვით ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების შექმნა და მათი ფუნქციონირების უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის საკუთარ (ექსკლუზიურ) უფლებამოსილებას წარმოადგენს. დმანისის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს წარმოადგენს მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბავშვებისათვის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელმისაწვდომობა წარმოადგენს. პროგრამის ფარგლებში ხორციელდება ა(ა)იპ დმანისის სკოლამდელი აღზრდის სამსახურის დაფინანსება. დღეის მდგომარეობით სკოლამდელი აღზრდის სამსახურში შედის 9 საბავშვო ბაღი და ერთი სასკოლო მზაობის ჯგუფი, რომელიც ემსახურება შემდეგი დასახლებების 320 ბავშვს ქალაქ დმანისი, სოფელი იაღუფლო, სოფელი ზემო ოროზმანი, სოფელი დალარი, სოფელი ქვემო ოროზმანი, სოფელი ბაზაქლო, სოფელი კარაბულახი, სოფელი განთიადი, სოფელი კიზილქილისა, სოფელი ტნუსი, სოფელი ჯავახი, სოფელი ას კაკლიანი, სოფელი ბოსლენი, სოფელი ვარდისუბანი, სოფელი დიდი დმანისი, სოფელი მაშავერა, სოფელი გომარეთი, სოფელი ახა, სოფელი ველისპირი, სოფელი განახლება და სოფელ სარკინეთი, სოფელი კარაბულახი, სოფელი ამამლო. 2021-2022-2023 წლებში განხორციელდა ქალაქ დმანისის N1, N2, სოფელ ჯავახის, სოფელ განთიადის, სოფელ მაშავერას, სოფელ ვარდისუბნის, სოფელ სარკინეთის, გომარეთის საბავშვო ბაღების სრული რეაბილიტაცია, სოფელ გომარეთის სრული რეაბილიტაცია.. 2023 წლიდან სოფელ ამამლოში ფუნქციონირებს სასკოლო მზაობის ერთი ჯგუფი, სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით დაგეგმილია ორი სასკოლო მზაობის ჯგუფის გახსნა და ახალი საბავშვო ბაღების მშენებლობა სოფელ ბოსლენში, ასევე, ეთნიკურად აზერბაიჯანული მოსახლეობით კომპაქტურად დასახლებულ დიდ სოფლებში, როგორც არის სოფელი ირგანჩაი, სოფელი ამამლო, სოფელი კარაბულახი. საბავშვო ბაღებში სასწავლო პროცესი დარეგულირებულია "ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2017 წლის 30 ოქტომბრის #488 დადგენილებით, "აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიული სტანდარტის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2017 წლის 27 ოქტომბრის #478 დადგენილებით,

პროგრამის მიზანი და აღწერა

კვების სტანდარტი დარეგულირებულია "ტექნიკური რეგლამენტის – „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში კვების ორგანიზებისა და რაციონის კვებითი ღირებულების ნორმების“ დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2017 წლის 30 ოქტომბრის #487 დადგენილებით.

ჰიგიენის მიმართულებით "ტექნიკური რეგლამენტის – ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების სანიტარიული და ჰიგიენური ნორმების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2017 წლის 27 ოქტომბრის #485 დადგენილებით.

სახანძრო უსაფრთხოება "სახანძრო უსაფრთხოების წესებისა და პირობების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2015 წლის 23 ივლისის #370 დადგენილების 17-ე მუხლი.

ქვეპროგრამის დასახელება	სულ	2024 წელი	2025 წელი	2026 წელი	2027 წელი
სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების ფუნქციონირება	6526400	1 631 600	1631600	1631600	1631600
აიპ დმანისის სკოლამდელი აღზრდის სამსახური					
სულ პროგრამა	6526400	1631 600	1631600	1631600	1631600

ა(ა)იპ დმანისის სკოლამდელი აღზრდის სამსახური

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა N2	
პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:	სკოლამდელი აღზრდა



ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	040101
----------------------------------	--------

ქვეპროგრამის დასახელება:	სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების ფუნქციონირება
--------------------------	--

გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მიზანი 4 მიზანი 1
---	----------------------

არის ქვეპროგრამა ახალი?	კი	არა
-------------------------	----	-----

თუ ქვეპროგრამა ახალია, ვინ წარმოადგინა?	
---	--

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:	ააიპ დმანისის სკოლამდელი აღზრდის სამსახური
---------------------------------	--

დასახელება	2024 წელი	2025 წელი	2026 წელი	2027 წელი
მუნიციპალური ბიუჯეტი	1631600	1631600	1631600	1631600
სახელმწიფო ბიუჯეტი	0	0	0	0
სხვა	0	0	0	0
სულ ქვეპროგრამა	1631600	1631600	1631600	1631600

მიზანი და აღწერა	<p>მიზანი: სახელმწიფო სტანდარტების შესაბამისი სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ფუნქციონირების ხელშეწყობა და განათლების მომსახურების მიწოდების უზრუნველყოფა</p> <p>დღეის მდგომარეობით დმანისის მუნიციპალიტეტში მოქმედებს 9 საბავშვო ბაღი, ორი სასკოლო მზაობის ჯგუფი (იგეგმება ორი სასკოლო მზაობის ჯგუფის დამატება ირგანჩაის საჯარო სკოლის შენობაში და სოფელ სარკინეთის საბავშვო ბაღში ორი ჯგუფის დამატება სოფელ კარაბულახის თემიდან ტრანსპორტირების უზრუნველყოფით) მთლიანად სამსახურში დასაქმებულია 77 თანამშრომელი, მათ შორის 40 აღმზრდელი და 16 თანამშეწვე, ხოლო 2024 წლის ბიუჯეტი გათვლილია 400 აღსაზრდელზე.</p> <p>ააიპ „დმანისის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სამსახურის“ დაქვემდებარებაში შემავალ საბავშვო ბაღებში აქტიურად მიმდინარეობს მზადება ავტორიზაციისათვის, რაც მოიცავს ბაღების რეაბილიტაციას, სათანადო კვალიფიკაციური კადრების მოძიებასა და ეტაპობრივად, უწყვეტ რეჟიმში გადამზადებას. გაერთიანებაში ამაჟამად დასაქმებულ აღმზრდელთა უმრავლესობას გავლილი აქვს აღმზრდელ - პედაგოგის 66 საათიანი ტრენინგმოდული, აგრეთვე „პირველადი (გადაუდებელი) სამედიცინო დახმარების“ ტრენინგი, „სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვებთან მუშაობის ტრენინგი“, „ შრომის უსაფრთხოებისა და საგანგებო სიტუაციების მართვა“, შესაბამისი პერსონალი გადამზადებულია „სურსათის უვნებლობა და HACCP“ – ის ტრენინგში.</p> <p>საბავშვო ბაღებში დანერგილია ახალი კურიკულუმი „ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში“, შესაბამისად შერჩეული სამიზნე ჯგუფები გადამზადებულია, განათლების სამინისტროსა და მასწავლებლის სახლის მიერ.</p> <p>ყველა საბავშვო ბაღისათვის გათვალისწინებულია ახალი მეთოდოლოგიის შესაბამისი საგანმანათლებლო რესურსის, საკანცელარიო და თვალსაჩინო მასალის, აგრეთვე სათამაშოებისა და საბავშვო ლიტერატურის შექმნა.</p> <p>ადგილობრივი სუბსიდია ხმარდება საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული სტანდარტების შესაბამისი კვებით უზრუნველყოფას, აღსაზრდელთა უსაფრთხოების მიზნით ბაღების შიდა ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას, ავეჯის განახლებასა და ა.შ. ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად იგეგმება: სკოლამდელი აღზრდის სფეროში მართვის პოლიტიკის განხორციელება, სტანდარტების შესაბამისი სააღმზრდელო პროგრამა/მეთოდოლოგიის დახვეწა, ბაღების პერსონალის შრომითი პირობების გაუმჯობესება, მათი კვალიფიკაციის ამაღლება და სხვა.</p> <p>სამსახურის გააჩნია დამტკიცებული სტრატეგია, რომლის მიზანია გაიზარდოს საბავშვო ბაღების ხელმისაწვდომობა არამარტო ქართულ თემში, არამედ აზერბაიჯანულ სექტორშიც. კიდევ უფრო ამაღლდეს პერსონალის კვალიფიკაციის დონე, გაუმჯობესდეს საბავშვო ბაღებში ფიზიკური გარემო და უნივერსალური დიზაინი, ინკლუზიური განათლება. უფრო ეფექტური გახდეს საკონსულტაციო საბჭოების მუშაობა, მშობლებისა</p>
-------------------------	---



და თემის ჩართულობა საბავშვო ბაღების საქმიანობაში.

ქვეპროგრამის/ღონისძიების დასახელება	2024	2025	2026	2027
სწავლების ხარისხის ამაღლება	8000	8000	8000	8000
კვება	220000	220000	220000	220000
ბაღების ადმინისტრირება	1259140	1259140	1259140	1259140
ბაღების აღჭურვა	144460	144460	144460	144460
ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა				
	1	2	3	4
ქვეპროგრამის/ღონისძიების დასახელება	კვარტალი	კვარტალი	კვარტალი	კვარტალი
სწავლების ხარისხის ამაღლება		X		X
კვება	X	X	X	X
ბაღების ადმინისტრირება	X	X	X	X
ბაღების აღჭურვა	X		X	
შუალედური მოსალოდნელი შედეგი (2023 წელი)	გაუმჯობესებული ფიზიკური გარემო და ინფრასტრუქტურა; სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში შექმნილია ბავშვების განვითარებაზე ორიენტირებული, სტანდარტების შესაბამისი სააღმზრდელო გარემო და უზრუნველყოფილია ბავშვთა ადრეული განვითარება და სასკოლო მზაობა			

ბ) პროფესიული განათლების ხელშეწყობა

პროგრამის განაცხადის ფორმა N1	
პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:	განათლება
პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	0402
პროგრამის დასახელება:	პროფესიული განათლების ხელშეწყობა
გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მიზანი 4 მიზანი 1
პროგრამის განმახორციელებელი:	დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური
პროგრამის განხორციელების პერიოდი:	მუდმივი
	განათლება, მათ შორის პროფესიული განათლება, წარმოადგენს სოციალურ-



ეკონომიკური ინტეგრაციის ერთ-ერთ მდგრად საშუალებას. ამ მიზნით დმანისის მუნიციპალიტეტი ახორციელებს პროფესიული განათლების ხელშეწყობის პროგრამას, რომლის მიზანია მუნიციპალიტეტში მცხოვრები სხვადასხვა ეთნოსის წარმომადგენელი მოსახლეობის სოციალური ინტეგრაცია, მათი კომპეტენციების ამაღლება განათლების მიღებისა თუ დასაქმების შემდგომი პერსპექტივით. პროგრამის ფარგლებში ამ ეტაპზე მოქმედებს შემდეგი ქვეპროგრამები:

პროგრამის მიზანი და აღწერა

- საგანმანათლებლო დაწესებულების ხელშეწყობა.
- პროფესიული სტუდენტების ხელშეწყობა

პროგრამის მიზანი - პროფესიული განათლების პოპულარიზაცია

ქვეპროგრამის დასახელება	სულ	2024 წელი	2025 წელი	2026 წელი	2027 წელი
საგანმანათლებლო დაწესებულების დაფინანსება	724000	181000	181 000	181000	181000
ააიპ დმანისის საგანმანათლებლო ცენტრი					
პროფესიული სტუდენტების ხელშეწყობა	40000	10 000	10 000	10 000	10 000
სულ პროგრამა	764000	191000	191000	191 000	191000
მ.შ. კაპიტალური პროექტები					
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	პროფესიული სწავლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და სოციალური ინტეგრაცია				

პროფესიულ სტუდენტთა ხელშეწყობა

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა N2					
პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:		პროფესიული სწავლების ხელშეწყობა			
ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:					040202
ქვეპროგრამის დასახელება:		პროფესიულ სტუდენტთა ხელშეწყობა			
გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა		მიზანი 4 მიზანი 1			
არის ქვეპროგრამა ახალი?			კი	არა	
თუ ქვეპროგრამა ახალია, ვინ წარმოადგინა?					
ქვეპროგრამის განმახორციელებელი:		განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური			
პროგრამის დასახელება	2024 წელი	2025 წელი	2026 წელი	2027 წელი	
მუნიციპალური ბიუჯეტი	10 000	10 000	10 000	10 000	
სახელმწიფო ბიუჯეტი	0	0	0	0	
სხვა	10 000	10 000	10 000	10 000	



სულ ქვეპროგრამა	10 000	10 000	10 000	10 000
მიზანი და აღწერა	<p>მიზანი: დმანისის მუნიციპალიტეტში პროფესიული განათლების პოპულარიზაცია, ხელმისაწვდომობის ზრდა, პროფესიული სტუდენტების როგორც დმანისის მუნიციპალიტეტში, ასევე ქვეყნის მასშტაბით, პრიორიტეტულ სფეროებში მომზადება, დასაქმებისთვის საჭირო უნარ-ჩვევების შესწავლის ხელშეწყობა.</p> <p>ქვეპროგრამის ფარგლებში დმანისის მუნიციპალიტეტში მცხოვრები, მაღალმთიანი სტატუსის მქონე სტუდენტებს, რომლებიც სოფლის მეურნეობის მიმართულებით არსებული პროფესიის დაუფლების მიზნით ჩარიცხებიან დმანისის მუნიციპალიტეტში მოქმედ შვეიცარიულ-აგრარულ სკოლა „კავკასიაში“, დმანისის მუნიციპალიტეტი დაუფინანსებს სწავლას 50 % ოდენობით.</p> <p>ასევე, 2024 წლიდან პროფესიული სასწავლებლის სტუდენტს (შვეიცარიულ-აგრარული სასწავლებლის სტუდენტების გარდა), რომლის სასწავლებელში ჩარიცხვა დასტურდება შესაბამისი ცნობით, ერთჯერადი წახალისების სახით დმანისის მუნიციპალიტეტის მერიისგან გადაეცემა თანხა 300 ლარის ოდენობით.</p>			
ქვეპროგრამის/დონისძიების დასახელება	2024	2025	2026	2027
პროფესიული სტუდენტის სწავლის დაფინანსება	8000	8000	8000	8000
პროფესიული სტუდენტის ერთჯერადი წახალისება	2000	2000	2000	2000
ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა				
ქვეპროგრამის/დონისძიების დასახელება	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
პროფესიული სტუდენტის სწავლის დაფინანსება		X		X
პროფესიული სტუდენტის ერთჯერადი წახალისება	X		X	
შუალედური მოსალოდნელი შედეგი (2023 წელი)	პროფესიული სტუდენტების დაფინანსების გზით, მუნიციპალიტეტში წახალისებულია პროფესიული სწავლება			

ა(ა)იპ დმანისის საგანმანათლებლო ცენტრი

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა N2				
პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:		პროფესიული განათლების ხელშეწყობა		
ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:			04 02 01	
ქვეპროგრამის დასახელება:		საგანმანათლებლო ცენტრის ხელშეწყობა		
გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა		მიზანი 4 - ხარისხიანი განათლება		
არის ქვეპროგრამა ახალი?			კი	არა
თუ ქვეპროგრამა ახალია, ვინ წარმოადგინა?				
ქვეპროგრამის განმახორციელებელი:		ააიპ დმანისის საგანმანათლებლო ცენტრი		
	2024 წელი	2025 წელი	2026 წელი	2027 წელი



მუნიციპალური ბიუჯეტი	181000	181000	181000	181000
სახელმწიფო ბიუჯეტი				
სხვა (შემოწირულობა)	9000	9000	9000	9000
სულ ქვეპროგრამა	190000	190000	190000	190000
მიზანი და აღწერა	<p>ქვეპროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობისთვის სახელმწიფო ენისა და უცხო ენების შესწავლის უზრუნველყოფა, მათ შორის ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლების სახელმწიფო ენის სწავლის ხელშეწყობა და მათი ინტეგრაცია საზოგადოებაში.</p> <p>ქვეპროგრამის ფარგლებში დმანისის მუნიციპალიტეტში, კერძოდ ქალაქ დმანისში ფუნქციონირებს ააიპ დმანისის საგანმანათლებლო ცენტრი, რომელიც წარმოადგენს სკოლის გარეშე სასწავლო დაწესებულებას. დაფუძნდა 2008 წლის 18 დეკემბერს. საგანმანათლებლო ცენტრში წარმოებს სახელმწიფო ენისა და უცხო ენის (ინგლისური) უფასო სწავლება. პროგრამა არის ერთწლიანი და ხდება თანმიმდევრული შესწავლა დონეების მიხედვით (ინდივიდუალური მიდგომა). ცენტრში დადგენილია კვირაში 5 დღიანი სასწავლო/სააღზრდელო პროცესი. ცენტრში დასაქმებულია 9 ადამიანი და ირიცხება 186 სხვადასხვა ეთნოსის ჯგუფის წარმომადგენელი მოსწავლე, აქედან 98 გოგო, 88 ბიჭი, ქართველი 56, აზერბაიჯანელი 130 და სხვა. წარმოადგენს სკოლის გარეშე სასწავლო დაწესებულებას. საგანმანათლებლო ცენტრში წარმოებს სახელმწიფო ენისა და უცხო ენის (ინგლისური) უფასო სწავლება. 2021 წლის დასაწყისში ქართული ენის სასწავლო პროგრამაში ახალგაზრდებში, განსაკუთრებით ეროვნულ უმცირესობებში, ქვეყნის ისტორიული წარსულისადმი ინტერესის გაღვივებისა და ქვეყანაში მიმდინარე პროცესებში აქტიური ჩართულობის ხელშეწყობის მიზნით მოხდა საქართველოს ისტორიის მოკლე კურსის ინტეგრირება.</p>			
ქვეპროგრამის/ღონისძიების დასახელება	2024	2025	2026	2027
შრომის ანაზღაურება	103,3	103,3	103,3	103,3
მივლინება	1,0	1,0	1,0	1,0
შტატგარეშე თანამშრომელთა ხელფასი	26,4	26,4	26,4	26,4
ოფისის ხარჯი	30,7	30,7	30,7	30,7
სხვა დანარჩენი	24,6	24,6	24,6	24,6
არა ფინანსური აქტივები	4,0	4,0	4,0	4,0
ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა				
ქვეპროგრამის/ღონისძიების დასახელება	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
საგანმანათლებლო ცენტრის ხელშეწყობა	X	X	X	X
შრომის ანაზღაურება	X	X	X	X
მივლინება	X	X	X	X
შტატგარეშე თანამშრომელთა ხელფასი	X	X	X	X
ოფისის ხარჯი	X	X	X	X
სხვა დანარჩენი	X	X	X	X
შუალედური მოსალოდნელი შედეგი (2023 წელი)	სახელმწიფო ენისა და უცხო ენების ცოდნის დონის ამაღლება და საკომუნიკაციო უნარჩვევების განვითარება ახალგაზრდებში			



ა) სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება

კოდი	პროგრამის დასახელება	სკოლამდელი აღზრდა	2024წლის დაფინანსება ათას ლარში
04 01			1 631,6

პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური
პროგრამის აღწერა	საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მიხედვით ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების შექმნა და მათი ფუნქციონირების უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის საკუთარ (ექსკლუზიურ) უფლებამოსილებას წარმოადგენს. დმანისის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს სწორედ მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბავშვებისათვის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელმისაწვდომობა წარმოადგენს. პროგრამის ფარგლებში ხორციელდება ა(ა)იპ დმანისის სკოლამდელი აღზრდის სამსახურის დაფინანსება. დღეის მდგომარეობით სკოლამდელი აღზრდის სამსახურში შედის 10 საბავშვო ბაღი, რომელიც ემსახურება შემდეგი დასახლებების მოსახლეობას: სოფელი იალღუფლო, სოფელი ზემო ოროზმანი, სოფელი დალარი, სოფელი ქვემო ოროზმანი, სოფელი ზაზაქლო, სოფელი კარაბულახი, სოფელი განთიადი, სოფელი კვილიქილისა, სოფელი ტნუსი, სოფელი ჯავახი, სოფელი ას კაკლიანი, სოფელი ბოსლები, სოფელი ვარდისუბანი, სოფელი დიდი დმანისი, სოფელი მაშავერა, სოფელი გომარეთი, სოფელი ახა, სოფელი ველისპირი, სოფელი განახლება და სოფელ სარკინეთი. 2020-2021 წლებში განხორციელდა ქალაქ დმანისის N1, სოფელ ჯავახისა და სოფელ განთიადისა და სოფელ მაშავერას საბავშვო ბაღების სრული რეაბილიტაცია, მიმდინარეობს სოფელ ვარდისუბნის, სოფელ გომარეთის, სოფელ სარკინეთის და ქალაქ დმანისის N2- N3 ბაღების სრული რეაბილიტაცია. აღნიშნული დასრულებულია 2022 წელს. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით სამომავლოდ დაგეგმილია ახალი საბავშვო ბაღების მშენებლობა სოფელ ბოსლებში და ასევე ეთნიკურად აზერბაიჯანული მოსახლეობით კომპაქტურად დასახლებულ დიდ სოფლებში
პროგრამის მიზანი	პროგრამის მიზანია დმანისის მუნიციპალიტეტის 2-დან 6-წლამდე ასაკის ბავშვებისათვის სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხელმისაწვდომობა

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების ხელშეწყობა	2023 წლის დაფინანსება (ათას ლარში)
04 01 01			1 631,6
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ დმანისის სკოლამდელი აღზრდის სამსახური		
ქვეპროგრამის მიზანი	სახელმწიფო სტანდარტების შესაბამისი სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ფუნქციონირების ხელშეწყობა და განათლების მომსახურების მიწოდების უზრუნველყოფა		
ქვეპროგრამის აღწერა	დღეის მდგომარეობით დმანისის მუნიციპალიტეტში მოქმედებს 9 საბავშვო ბაღი და დამატებით რეაბილიტაციის პროცესშია ერთი ბაღი - ქალაქ დმანისის N1, N2, N3 ბაღები, სოფელ განთიადის, სოფელ ჯავახის, სოფელ ვარდისუბნის, სოფელ სარკინეთის, სოფელ მაშავერასა და სოფელ გომარეთის საბავშვო ბაღები. მთლიანად სამსახურში დასაქმებულია 60 თანამშრომელი, მათ შორის 16 აღმზრდელი და 12 თანამშემწე, ხოლო ირიცხება 340 აღსაზრდელი, აქედან ბიჭი 172, გოგო 168. ააიპ „დმანისის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სამსახურის“ დაქვემდებარებაში შემავალ საბავშვო ბაღებში დაწყებულია მზადება ავტორიზაციისათვის, რაც მოიცავს ბაღების რეაბილიტაციას, აღმზრდელ-პედაგოგების გადამზადებასა და ა.შ. ადგილობრივი სუბსიდიის ხმარდება საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული სტანდარტების შესაბამისი კვებით უზრუნველყოფას, აღსაზრდელთა უსაფრთხოების მიზნით ბაღების შიდა ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას, ავეჯის განახლებასა და ა.შ. ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად იგეგმება: სკოლამდელი აღზრდის სფეროში მართვის პოლიტიკის განხორციელება, სტანდარტების შესაბამისი სააღმზრდელო პროგრამა/მეთოდოლოგიის დახვეწა, ბაღების პერსონალის შრომითი პირობების გაუმჯობესება, მათი კვალიფიკაციის ამაღლება და სხვა.		



ბ) საგანმანათლებლო ცენტრი

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	საგანმანათლებლო ცენტრის ხელშეწყობა	2024 წლის დაფინანსება (ათას ლარში)
04 02 01			181,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური		ა(ა)იპ დმანისის საგანმანათლებლო ცენტრი	
ქვეპროგრამის მიზანი		მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობისთვის სახელმწიფო ენისა და უცხო ენების შესწავლის უზრუნველყოფა, მათ შორის ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლების სახელმწიფო ენის სწავლის ხელშეწყობა და მათი ინტეგრაცია საზოგადოებაში.	
ქვეპროგრამის აღწერა		ქვეპროგრამის ფარგლებში დმანისის მუნიციპალიტეტში, კერძოდ ქალაქ დმანისში ფუნქციონირებს ააიპ დმანისის საგანმანათლებლო ცენტრი, რომელიც წარმოადგენს სკოლის გარეშე სასწავლო დაწესებულებას. დაფუძნდა 2008 წლის 18 დეკემბერს. საგანმანათლებლო ცენტრში წარმოებს სახელმწიფო ენისა და უცხო ენის (ინგლისური) უფასო სწავლება. 2021 წლის დასაწყისში ქართული ენის სასწავლო პროგრამაში ახალგაზრდებში, განსაკუთრებით ეროვნულ უმცირესობებში, ქვეყნის ისტორიული წარსულისადმი ინტერესის გაღვივებისა და ქვეყანაში მიმდინარე პროცესებში აქტიური ჩართულობის ხელშეწყობის მიზნით მოხდა საქართველოს ისტორიის მოკლე კურსის ინტეგრირება. პროგრამა არის ერთწლიანი და ხდება თანმიმდევრული შესწავლა დონეების მიხედვით (ინდივიდუალური მიდგომა). ცენტრში დადგენილია კვირაში 5 დღიანი სასწავლო/სააღზრდელო პროცესი. ცენტრში დასაქმებულია 9 ადამიანი და მიმდინარე წელს პანდემიური სიტუაციიდან გამომდინარე სწავლობდა 157 ბენეფიციარი ჯგუფის წარმომადგენელი. პროგრამის ფარგლებში, აზერბაიჯანის რესპუბლიკის სახელმწიფო ნავთობის კომპანიის წარმომადგენლობის დაფინანსებით მოსწავლეებს ემსახურება ტრანსპორტი, რომელიც მუნიციპალიტეტის სხვადასხვა სოფლებიდან ახდენს მათ ტრანსპორტირებას. პროგრამაში ჩართულნი არიან სოფლები: ზემო და ქვემო ოროზმანი, ბაჯაქლო, დალარი, კარაბულახი, შინდლარი, დაგარახლო, აბამლო, მამიშლო და სოფლებთან ერთად ქალაქ დმანისის მკვიდრი ახალგაზრდები.	

პროფესიულ სტუდენტთა ხელშეწყობა

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა N2				
პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:		პროფესიული სწავლების ხელშეწყობა		
ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:		040202		
ქვეპროგრამის დასახელება:		პროფესიულ სტუდენტთა ხელშეწყობა		
გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა		მიზანი 4 მიზანი 1		
არის ქვეპროგრამა ახალი?		კი	არა	
თუ ქვეპროგრამა ახალია, ვინ წარმოადგინა?				
ქვეპროგრამის განმახორციელებელი:		განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური		
პროგრამის დასახელება	2024 წელი	2025 წელი	2026 წელი	2027 წელი
მუნიციპალური ბიუჯეტი	10 000	10 000	10 000	10 000
სახელმწიფო ბიუჯეტი	0	0	0	0



სხვა	10 000	10 000	10 000	10 000
სულ ქვეპროგრამა	10 000	10 000	10 000	10 000
მიზანი და აღწერა	<p>მიზანი: დმანისის მუნიციპალიტეტში პროფესიული განათლების პოპულარიზაცია, ხელმისაწვდომობის ზრდა, პროფესიული სტუდენტების როგორც დმანისის მუნიციპალიტეტში, ასევე ქვეყნის მასშტაბით, პრიორიტეტულ სფეროებში მომზადება, დასაქმებისთვის საჭირო უნარ-ჩვევების შესწავლის ხელშეწყობა.</p> <p>ქვეპროგრამის ფარგლებში დმანისის მუნიციპალიტეტში მცხოვრები, მაღალმთიანი სტატუსის მქონე სტუდენტებს, რომლებიც სოფლის მეურნეობის მიმართულებით არსებული პროფესიის დაუფლების მიზნით ჩარიცხებიან დმანისის მუნიციპალიტეტში მოქმედ შვეიცარიულ-აგრარულ სკოლა „კავკასიაში“, დმანისის მუნიციპალიტეტი დაუფინანსებს სწავლას 50 % ოდენობით.</p> <p>ასევე, 2024 წლიდან პროფესიული სასწავლებლის სტუდენტს (შვეიცარიულ-აგრარული სასწავლებლის სტუდენტების გარდა), რომლის სასწავლებელში ჩარიცხვა დასტურდება შესაბამისი ცნობით, ერთჯერადი წახალისების სახით დმანისის მუნიციპალიტეტის მერიისგან გადაეცემა თანხა 300 ლარის ოდენობით.</p>			
ქვეპროგრამის/ღონისძიების დასახელება	2024	2025	2026	2027
პროფესიული სტუდენტის სწავლის დაფინანსება	8000	8000	8000	8000
პროფესიული სტუდენტის ერთჯერადი წახალისება	2000	2000	2000	2000
ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა				
ქვეპროგრამის/ღონისძიების დასახელება	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
პროფესიული სტუდენტის სწავლის დაფინანსება		X		X
პროფესიული სტუდენტის ერთჯერადი წახალისება	X		X	
შუალედური მოსალოდნელი შედეგი (2023 წელი)	პროფესიული სტუდენტების დაფინანსების გზით, მუნიციპალიტეტში წახალისებულია პროფესიული სწავლება			

გ) ზოგადი განათლების ხელშეწყობა

კოდი	პროგრამის დასახელება	საჯარო სკოლების დაფინანსება	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
04 03			935,8
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური		
პროგრამის მიზანი	საჯარო სკოლებში კეთილსაიმედო სასწავლო გარემოს შექმნა.		
	ქვეპროგრამა მოიცავს, დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში, დმანისის მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფას, ქვეპროგრამას ახორციელებს კონსოლიდირებულ ტენდერში გამარჯვებული კომპანია. რეისების ჯეროვნად შესრულებას კი ზედამხედველობას უწევს მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური. ტრანსპორტირება ხორციელდება მუნიციპალიტეტში მოქმედი		



პროგრამის აღწერა	სკოლების მოთხოვნისამებრ და ქვეპროგრამით სარგებლობს სხვადასხვა სოფლის წარმომადგენელი მოსწავლეები. პანდემიური სიტუაციიდან გამომდინარე ზოგიერთ სკოლაში სასწავლო პროცესი მიმდინარეობს ორ ცვლად, შესაბამისად მოსწავლეებს ტრანსპორტი ემსახურება დირექტორის მიერ განსაზღვრული გრაფიკით. ქვეპროგრამის ფარგლებში მოსწავლეთა ტრანსპორტირების პროგრამაში ჩართულია მოსწავლე. 2021 წელს პროგრამით სარგებლობენ შემდეგი სოფლის მოსწავლეები: კიზილქილისა, ბოსლები, გუგუთი, დიდი დმანისი
-------------------------	--

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	სკოლის მოსწავლეთა ტრანსპორტირება	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
04 03 01			
	ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური	
	ქვეპროგრამის მიზანი	საჯარო სკოლებში კეთილსაიმედო სასწავლო გარემოს შექმნა.	
	ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამა მოიცავს, დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში, დმანისის მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფას, ქვეპროგრამას ახორციელებს კონსოლიდირებულ ტენდერში გამარჯვებული კომპანია. რეისების ჯგუფონად შესრულებას კი ზედამხედველობას უწევს მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური. ტრანსპორტირება ხორციელდება მუნიციპალიტეტში მოქმედი სკოლების მოთხოვნისამებრ და ქვეპროგრამით სარგებლობს სხვადასხვა სოფლის წარმომადგენელი მოსწავლეები. პანდემიური სიტუაციიდან გამომდინარე ზოგიერთ სკოლაში სასწავლო პროცესი მიმდინარეობს ორ ცვლად, შესაბამისად მოსწავლეებს ტრანსპორტი ემსახურება დირექტორის მიერ განსაზღვრული გრაფიკით. ქვეპროგრამის ფარგლებში მოსწავლეთა ტრანსპორტირების პროგრამაში ჩართულია მოსწავლე. 2023 წელს პროგრამით სარგებლობენ შემდეგი სოფლის მოსწავლეები: კიზილქილისა, ბოსლები, გუგუთი, დიდი დმანისი	

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	ზოგადსაგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის მშენებლობა/რეაბილიტაცია	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
04 03 02			
	ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური	
	ქვეპროგრამის მიზანი	მუნიციპალიტეტის სკოლების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება	
	ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამა მოიცავს, დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში, დმანისის მუნიციპალიტეტში არსებული საგანმანათლებლო დაწესებულებების აშენება, რეაბილიტაციას და ზოგადად ინფრასტრუქტურის განვითარება/გამართვას. მცხოვრები მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფას, ქვეპროგრამას ზედამხედველობას უწევს მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური. მუნიციპალიტეტის მასშტაბით მოქმედებს 27 საჯარო სკოლა, აქედან 17 საშუალო და 10 საბაზო სკოლა. პროგრამის ფარგლებში 2018 წლიდან დღემდე მოეწყო სკოლათა სველი წერტილები(ქალაქ დმანისის N1,განთიადის საჯარო სკოლა, მაშვერას საჯარო სკოლა,დიდი დმანისის საჯარო სკოლა, კამარლოს სკოლა, დაგარახლოს სკოლა, ოროზმანის სკოლა და სხვა). შეიცვალა სახურავი სარკინეთის სკოლაში. დამონტაჟდა გათბობის სისტემები და სხვა.	

4. კულტურა, ახალგაზრდობა სპორტი 05 00

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად ერთად აუცილებელია ხელი შეიწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ღირსეულ



გაგრძელებას. ამასთანავე ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს სპორტული და კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ სპორტული შესაძლებლობის გამოვლენა.

პრიორიტეტის/პროგრამების/ქვეპროგრამის /ღონისძიებების დასახელება		2024 წელი	2025 წელი	2026 წელი	2027 წელი
05 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	2 885,0	2785,0	2785,0	2785,0
05 01	სპორტის სფეროს განვითარება	720,2	720,2	720,2	720,2
05 01 01	სპორტული სკოლის ხელშეწყობა	580,0	580,0	580,0	580,0
05 01 02	სპორტული ღონისძიებები	140,2	140,2	140,2	140,2
05 02	კულტურის სფეროს განვითარება	1 757,8	1757,8	1757,8	1757,8
05 02 01	კულტურული დაწესებულებების ხელშეწყობა	926,5	926,5	926,5	926,5
05 02 02	სახელოვნებო დაწესებულების ხელშეწყობა	246,8	246,8	246,8	246,8
05 02 03	საბიბლიოთეკო სამსახურის ხელშეწყობა	229,5	229,5	229,5	229,5
05 02 04	კულტურული ღონისძიებები	355,0	355,0	355,0	355,0
05 03	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	200,0	100,0	100,0	100,0
0504	ინიციატივების თანადაფინანსება	2,0	2,0	2,0	2,0
0505	ახალგაზრდობის მხარდაჭერა	160,0	160,0	160,0	160,0
0506	საგამომცემლო საქმიანობა	45,0	45,0	45,0	45,0

ა) სპორტის სფეროს განვითარება

პროგრამის განაცხადის ფორმა N1	
პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:	კულტურა, ახალგაზრდობა, სპორტი
პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	05 01
პროგრამის დასახელება:	სპორტის სფეროს განვითარება
გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მიზანი 3 მიზანი 5
პროგრამის განმახორციელებელი:	განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური
პროგრამის განხორციელების პერიოდი:	მუდმივი
მიზანი: სპორტის სფეროს განვითარებით, თანასწორი შესაძლებლობების	



შექმნა, გენდერულად სენსიტიური თუ სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფებისათვის, მათ შორის შშმ პირებისათვის, სპორტის საყოველთაობისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

დმანისის მუნიციპალიტეტის მიზანია სპორტის სფეროს განვითარებით, ხელმისაწვდომობის გაზრდით, საყოველთაობისა და ცხოვრების ჯანსაღი წესის დანერგვით, ახალგაზრდობის თავისუფალი დროის ეფექტური მენეჯმენტი; სულიერად და ფიზიკურად ჰარმონიულად განვითარებული პიროვნების ფორმირება; ასევე, სპორტული ტრადიციების დაცვა, გაღრმავება, თაობათა შორის მემკვიდრეობითობის უწყვეტობა, სპორტის განვითარება; მატერიალური და ტექნიკური ბაზის განმტკიცება, სპორტის ინდუსტრიის განვითარება;

პროგრამა მოიცავს შემდეგ ქვეპროგრამებს: სპორტული სკოლის ხელშეწყობა, რომლის ფარგლებშიც სუბსიდირება ხდება დმანისში არსებული ა(ა)იპ ომარ მუმლაძის სახელობის სპორტული სკოლის. მეორე ქვეპროგრამა სპორტული ღონისძიებები ხორციელდება დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის ორგანიზებით და მოიცავს მუნიციპალიტეტის მასშტაბით სპორტული ღონისძიებების დაგეგმვასა და ჩატარებას, ნორჩი ფეხბურთელების ხელშეწყობას, სპორტული ინვენტარის განახლებას და სხვა.

პროგრამის მიზანი და აღწერა

პროგრამის დასახელება	სულ	2024წელი	2025 წელი	2026 წელი	2027 წელი
სპორტული დაწესებულების ხელშეწყობა					
აიპ ომარ მუმლაძის სახელობის დმანისის სპორტული სკოლა	2 320 000	580 000	580 000	580 000	580 000
სპორტული ღონისძიებები	560800	140200	140200	140200	140200
სულ პროგრამა	2 880 800	720 200	720 200	720 200	720 200
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	გაზრდილია სპორტის ხელმისაწვდომობა, უზრუნველყოფილია ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია და მოსახლეობის თანაბარი ჩართულობა სპორტულ ცხოვრებაში, გაუმჯობესებულია ადაპტირებული სპორტული ინფრასტრუქტურა				

ა(ა)იპ ომარ მუმლაძის სახელობის დმანისის სპორტული სკოლა

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა N2				
პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:	სპორტის სფეროს განვითარება			
ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	050101			
ქვეპროგრამის დასახელება:	სპორტული სკოლის ფუნქციონირების ხელშეწყობა			
გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მიზანი 3 - ჯანმრთელი ცხოვრება და კეთილდღეობა მიზანი 5 - გენდერული თანასწორობა			
არის ქვეპროგრამა ახალი?		კი	არა	
თუ ქვეპროგრამა ახალია, ვინ წარმოადგინა?				
ქვეპროგრამის განმახორციელებელი:	აიპ ომარ მუმლაძის სახელობის დმანისის სპორტული სკოლა			
	2024 წელი	2025 წელი	2026 წელი	2027 წელი



მუნიციპალური ბიუჯეტი	580 000	580 000	580 000	580 000
სახელმწიფო ბიუჯეტი	0	0	0	0
სხვა	0	0	0	0
სულ ქვეპროგრამა	580 000	580 000	580 000	580 000
მიზანი და აღწერა	<p>ა(ა)იპ „ომარ მუმლაძის სახელობის დმანისის სპორტული სკოლა“ უზრუნველყოფს სპორტული სექციების მუშაობას სპორტის 12 სახეობის მიმართულებით.სკოლას აქვს სექციები სოფლებში: გომარეთი, ვარდისუბანი, განთიადი . სპორტსკოლაში დასაქმებულია 22 თანამშრომელი , რომელთაგან 4 ქალბატონია და 18 მამაკაცი. მოქმედებს შემდეგი სპორტული წრეები: მიუდოს 4 წრე . ფეხბურთის 3 წრე , ქართული ჭიდაობის - ჭიდაობა სამბოს, თავისუფალი ჭიდაობის, ჭადრაკის, კიკბოქსინგის 2, მაგიდის ჩოგბურთის, მკლავჭიდის, მალოსნობის, ფრენბურთის. ამ წრეებს ემსახურება 15 მწვრთნელი. წრეებში გაერთიანებული არიან სხვადასხვა ასაკობრივი სპორტსმენები 6-დან 18 წლამდე. სკოლაში რიცხულია 205 ბენეფიციარი 34 გოგონა და 171 ჭაბუკი. სკოლა გეგმავს და განახორციელებს ღონისძიებებს ცხოვრების ჯანსაღი წესის მიმართულებით და ხელს უწყობს მის დანერგვასა და პოპულარიზაციას, ხელს უწყობს წარმატებულ სპორტსმენებს, მათ მწვრთნელებს და ახორციელებს მათ წახალისებას. ასეე უზრუნველყოფს ცენტრში და სოფლის წრეებში მოსიარულეთა სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობას, როგორც ქვეყნის შიგნით , ისე ქვეყნის გარეთ.</p>			
ქვეპროგრამის/ღონისძიების დასახელება	2024	2025	2026	2027
ქ. დმანისის სპორტსკოლა	534, 8	534,8	534,8	534,8
სოფ. ვარდისუბნის კიკბოქსინგის წრე.	15.5	15.5	15.5	15.5
სოფ.განთიადის თავისუფალი ჭიდაობის წრე	18.0	18.0	18.0	18.0
სოფ. გომარეთის მიუდოს წრე	11.7	11.7	11.7	11.7
ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა				
ქვეპროგრამის/ღონისძიების დასახელება	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
ქ. დმანისის სპორტსკოლა	X	X	X	X
სოფ. ვარდისუბნის კიკბოქსინგის წრე.	X	X	X	X
სოფ.განთიადის თავისუფალი ჭიდაობის წრე	X	X	X	X
სოფ. გომარეთის მიუდოს წრე	X	X	X	X
შუალედური მოსალოდნელი შედეგი (2023 წელი)	დმანისის მუნიციპალიტეტში სპორტული სკოლის ფუნქციონირებს გამართულად			

სპორტული ღონისძიებები

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა N2	
პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:	სპორტის სფეროს განვითარება
ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	050102
ქვეპროგრამის დასახელება:	სპორტული ღონისძიებები



გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მიზანი 3 - ჯანმრთელი ცხოვრება და კეთილდღეობა მიზანი 5 - გენდერული თანასწორობა			
არის ქვეპროგრამა ახალი?	კი	არა		
თუ ქვეპროგრამა ახალია, ვინ წარმოადგინა?				
ქვეპროგრამის განმახორციელებელი:	განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური			
	2024 წელი	2025 წელი	2026 წელი	2027 წელი
მუნიციპალური ბიუჯეტი	140200	140200	140200	140200
სახელმწიფო ბიუჯეტი	0	0	0	0
სხვა				
სულ ქვეპროგრამა	140 200	140 200	140 200	140 200
